



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

შპს თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

1. ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

წევრები:

2. ნინო შუბლაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
3. ნანა ვარდმანიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
4. თამარ ცხადაია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
5. ელენე ხუსკივაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
6. მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
7. გიორგი ხომასურიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
8. მაკა ინაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
9. მარინე ახალაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
10. კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
11. ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	204861596

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ლევან მიქელაძის N4
საფოსტო ინდექსი	0179
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://www.cea.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@cea.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0322 91 35 35 0322 91 35 36

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 25 მარტის N MES 9 25 0000333369 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 15-16 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქ. თბილისი ლევან მიქელაძის N4
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქ. თბილისი ლევან მიქელაძის N4
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქ. თბილისი ლევან მიქელაძის N4

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2025 წლის 15-16 აპრილს შპს თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. საგნობრივი ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მადიებლის თვითშეფასების შევსებული ფორმა მოიცავდა მკაფიო და სრულყოფილ ინფორმაციასა და რეფლექსიას სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. აღსანიშნავია, რომ თანდართული დოკუმენტაციის სახით წარმოდგენილი იყო სტანდარტების ყველა კომპონენტში თითოეული კრიტერიუმის შესაბამისი მტკიცებულებები/დოკუმენტაცია/ფოტომასალა.

ვიზიტის პირველ დღეს დისტანციურ ფორმატში ჩატარდა საგნობრივი ექსპერტების გასაუბრება კათედრებთან.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა წარმართეს გასაუბრებები სკოლის დირექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, დამრიგებლებთან, დამრიგებლის ასისტენტებთან, ტუტორებთან, ფსიქოლოგთან, საქმისმწარმოებელთან, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთან, სამივე საფეხურის მოსწავლეთა მშობლებთან, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან. შესწავლილ იქნა თანამშრომლეთა პირადი საქმეები და ხელშეკრულებები, ჩატარდა ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერება.

ვიზიტის მეორე დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გამოვლენილი მიგნებები დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციასთან და კათედრის თავმჯდომარეებთან. საგნობრივმა ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გაუზიარეს უკუკავშირი.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში. დაწესებულების მიერ შექმნილი იყო კეთილგანწყობილი სამუშაო გარემო.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
440	440	580

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის გამორჩეულ პრაქტიკაზე მიუთითებს სკოლის საათობრივი ბაღე, რომლის მიხედვით საშუალო საფეხურზე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სავალდებულო და ფაკულტატურ საგნებს. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს ფუნდამენტური განათლება და, ამავდროულად, აირჩიოს საგნები საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით (სპეციალური კურსები, კვლევით უნარების განვითარებაზე ორიენტირებული საგნები, სპორტი). აღსანიშნავია, რომ სავალდებულო საგნების ბლოკში სკოლამ სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინებით დაამატა კურსები: SAT, TOEFEL და აკადემიური წერა ინგლისურ ენაზე. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლის გააზრებულ პროფესიულ ორიენტაციას და წარმოაჩენს, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებაზე.

სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სწავლების ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებითა და კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინებით. საკლასო ოთახებსა და სკოლის დერეფნებში წარმოჩენილია მოსწავლეთა მიერ განხორციელებული და მიმდინარე სასწავლო პროექტები, რომლებიც თვალსაჩინოს ხდის სწავლა-სწავლების კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და წიგნიერების უნარების განვითარებაზე ორიენტაციას.

სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეებს ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებში ჩართულობას. ამ მიმართულებით სკოლის მოსწავლეებს აქვთ არაერთი წარმატება, მათ შორის საერთაშორისო კონკურსებში „Blue Ocean Competition 2024“, „Technovation Girls“ და „ბრილიანტის გამოწვევის 2024“ სკოლის მოსწავლეთა გუნდი წარმატებით მონაწილეობენ. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა გუნდი გახდა საერთაშორისო კონკურსის „ბრილიანტის გამოწვევის“ 2024 წლის კონკურსის ფინალისტი და მიმდინარე წელს კვლავ წარმატებით მონაწილეობს ამ კონკურსში.

სკოლაში უწყვეტი პროცესია საქმიანობის რეფლექსია და მომსახურების გაუმჯობესებისაკენ/განვითარებისაკენ სწრაფვა, რასაც, ეფუძნება არაერთი გადაწყვეტილება, მათ შორის ტუტორების პოზიციის შემოღება V-XII კლასებში, კათედრის თავმჯდომარის პოზიციებზე ნაკლები საათობრივი დატვირთვის მქონე მასწავლებლების განაწილება, საათობრივი ბაღის არსებული მოდელის ჩამოყალიბება და სხვ.

სკოლა ჩართულია მომავალი მასწავლებლების მომზადების პროცესში და ყოველწლიურად უზრუნველყოფს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის განხორციელებას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 580	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;



IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		



V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის განხორციელება - სკოლისა და ბაღის სივრცის გამიჯვნა იმგვარად, რომ როგორც ბაღს, ისე სკოლას ჰქონდეს საკუთარი, იზოლირებული შესასვლელი კარი და ფოიე 2027 წლის ივნისამდე.
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის განხორციელება - პანდუსის დამონტაჟება კიბეებზე მუდმივი გამოყენებისთვის 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	რჩევა
ინდიკატორი N....		

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის ფარგლებში (2020 წლის 16-17 ივლისი) რეკომენდაციები არ გაცემულა.

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2025 წლის 16 მაისს შემოსული შპს თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის კორესპონდენცია ეხება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. დაწესებულება დაეთანხმა დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და სრულად გაიზიარა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში წარმოდგენილია N3.5.1.4 და N3.4.1.3 ინდიკატორების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განსაზღვრულია დაწყებისა და დასრულების თარიღები და რესურსები და აღნიშნულია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები მითითებულ ვადებში არ არსებობს. კერძოდ, N3.4.1.3 სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად კიბეებზე დამონტაჟდება პანდუსი მუდმივი გამოყენებისთვის. დასრულების თარიღი: 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე; N3.5.1.4 ინდიკატორი სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, სკოლისა და ბაღის სივრცე გაიმიჯნება იმგვარად, რომ როგორც ბაღს, ისე სკოლას ჰქონდეს საკუთარი, იზოლირებული შესასვლელი კარი და ფოიე. დასრულების თარიღი: 2027 წლის ივნისი.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი N3.4.1.3 შეფასდა როგორც ნაწილობრივად შესაბამისი, ინდიკატორი N3.5.1.4 - როგორც მეტწილად შესაბამისი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს; სკოლის განაცხადი საკუთარი დანიშნულებისა და განვითარების ხედვის შესახებ სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მისიით გაცხადებული პრიორიტეტია მოსწავლეებს განუვითაროს დემოკრატიული ღირებულებები და ხელი შეუწყოს მათ ჩამოყალიბებას აქტიურ, გლობალურ მოქალაქეებად. დაწესებულების ხედვით განსაზღვრულია, რომ მიისწრაფვის ინოვაციური მიდგომების გამოყენებით მოსწავლეებისათვის დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბების, თვითრეალიზებასა და პოზიტიური ცვლილებების განხორციელების ხელშეწყობისაკენ. ხედვისა და მისიაში გაცხადებულია, რომ ინოვაციური გარემოს/მიდგომების საშუალებით გეგმავს დაწესებულება საკუთარ საქმიანობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს; მისიაში ხაზგასმულია უსაფრთხო, მამოტივირებელი, ინკლუზიური და ინოვაციური გარემოს/მიდგომების მნიშვნელოვნება საკუთარი მიზნისა მიღწევის პროცესში, ხოლო ხედვაში აღნიშნულია, რომ სკოლა მიისწრაფვის დაეხმაროს მოსწავლეებს თვითრეალიზებაში, რაც

მიუთითებს, რომ სკოლა საკუთარ როლს განსაზღვრავს, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სივრცეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; სკოლის ფილოსოფიის შექმნის პროცესში პირდაპირი გზით ჩართულები იყვნენ მასწავლებლები და სხვა თანამშრომლები, მათ შორის დირექციის წარმომადგენლები. სკოლის ფილოსოფიაში გათვალისწინებულია, ფოკუსგუფებისა და გამოკითხვის შედეგად მიღებული, მოსწავლეებისა და მშობლების უკუკავშირი. სასკოლო საზოგადოების კმაყოფილების კვლევის ანგარიშში გამოკვეთილია უსაფრთხო და მამოტივირებელი გარემოს პრიორიტეტულობა, რაც ასახულ იქნა მისიაში.

2023 წლის 01 სექტემბერს დაწესებულების აკადემიურმა დირექტორმა პედაგოგიურ საბჭოს განსახილველად წარუდგინა ახლადშემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, მოსწავლეთა პარლამენტის თავმჯდომარე და წევრი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; მისია, ხედვა და ღირებულებები დადებითად შეფასდა პედაგოგიური საბჭოსა და მოსწავლეთა პარლამენტის წარმომადგენლების მიერ, რაც უზრუნველყოფს ამავედროულად შემუშავებული მისიის გაზიარებასაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ გვერდზე და სკოლის შენობაში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს; 2025 წლის 18 თებერვალს განხორციელდა საფირმო სახელწოდების შპს „თანამედროვე განათლების აკადემია“ ცვლილება. ორგანიზაციის ახალი სახელწოდებაა შპს „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღი“. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- დებულება, ბრძანება N01/70 01.12.2023
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, 01.09.2023
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების დანერგვის შეფასების კითხვარი
- <https://www.cea.ge/misia>
- ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, 18.02.2025

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია დამტკიცებულია 2022 წლის 30 დეკემბერს დაწესებულების დირექტორის მიერ. წესი განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. სტრატეგიული განვითარების პროცესში ჩართული მხარეები არიან: გენერალური დირექტორი,

კომერციული დირექტორი, ფინანსური დირექტორი, სკოლის დირექცია, მასწავლებლები, სხვა თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები.

სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპებს შორისაა გუნდურობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება და გამჭვირვალობა, რაც მოიაზრებს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობას, ჩართულობას, ინფორმაციის გაზიარებას და ინტერესებულ მხარეებთან.

სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების შესახებ დაწესებულება ინფორმაციას შესაგროვებლად იყენებს შემდეგ მეთოდებს: მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა გამოკითხვები, მშობელთა და მოსწავლეთა ფოკუსჯგუფები, საგაკვეთილო დაკვირვება და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცდა პარტნიორთა კრების მიერ 2023 წლის 04 სექტემბერს. გეგმა წარმოადგენს შვიდწლიან სამოქმედო განაცხადს, რომელიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან. გეგმაში ასახულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.

სტრატეგიული გეგმა არის ციკლური. ის ეყრდნობა 2021-2023 წლის სტრატეგიულ გეგმის შესრულების ანალიზს და არსებული გამოწვევების საპასუხოდ დაწესებულების სამომავლო საჭიროებების კვლევის შედეგებს. გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად 4 ძირითად მიმართულებას 2023-2030 წლებისათვის: სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება, მოსწავლეთა საჭიროებების შესწავლისა და მათზე რეაგირების სისტემის გაძლიერება, ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების განვითარება, აკადემიისადმი ინსტიტუციური ცნობადობის გაზრდა. ჩამოთვლილი ძირითადი მიმართულებების დაზუსტებულია მოკლევადიანი (უახლოესი ორი წლის განმავლობაში მისაღწევი), საშუალოვადიანი (3-5 წელი) და გრძელვადიანი (6-7 წელი) მიზნებისა და ამოცანების სახით. შემუშავებული მიზნები და ამოცანები მისიასთან თავსებადია და მკაფიოდ ასახავს დაწესებულების განვითარების მიმართულებას 2030 წლისათვის გახდეს საქართველოს მასშტაბით მაღალი ნდობისა და აღიარების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. გეგმა მიზნად ისახავს 2024-2025 სასწავლო წლის მანძილზე

დასახული ამოცანების გადაჭრას. სამოქმედო გეგმის მიზნებია: უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს გაძლიერება, თანამედროვე სასწავლო რესურსების განვითარება, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების მონიტორინგი, არაფორმალური განათლების პროგრამების გაძლიერება, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული კორპორატიული კულტურის გაძლიერება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, თვითშეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემის განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სამოქმედო გეგმაში ასახულია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ამოცანა იწოდებოდა „აქტივობად“, ხოლო გეგმის კომპონენტი „შინაარსი“ წარმოადგენდა თავისი არსით აქტივობას. ვიზიტის პერიოდში, დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის უკუკავშირი და შეცვალა კომპონენტის სახელწოდებები ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად.

სამოქმედო გეგმაში აღწერილია აქტივობის შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 01/41 სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ, 30/12/2022
- პარტნიორთა კრების ოქმი N61 სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 04/09/2023
- პარტნიორთა კრების ოქმი N65 2024-2025 სასწავლო წლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 13/09/2023

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; მეთოდოლოგიის დოკუმენტი განსაზღვრავს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს - ორ წელიწადში ერთხელ. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისათვის დაწესებულება იყენებს google drive-ზე გაზიარებულ სამოქმედო გეგმის ფაილსა და საქაღალდეს, რომელშიც გროვდება აქტივობების განხორციელების ანგარიშები და მტკიცებულებები. მონიტორინგისა და შეფასებისათვის გამოიყენება პროცესზე დაკვირვება, დაინტერესებულ მხარეთა ინტერვიუები და ფოკუსგუფები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგები. პასუხისმგებელი პირების ანგარიშები და სხვ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების საჯაროობა უზრუნველყოფილია დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების, სასწავლო პროცესის ანალიზის

და მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა უკუკავშირის გათვალისწინებით 2024-2025 სასწავლო წლის საათობრივ ბადეში განხორციელდა რიგი ცვლილებები: საშუალო საფეხურის კურიკულუმს დაემატა SAT საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის პროგრამა, კვლევითი პროექტები მეცნიერებაში და საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლა. დასტურდება დაწესებულების ანალოგიური გამოცდილება წინა სასწავლო წლებშიც.

შესრულების შედეგების ასახვასთან ერთად დაწესებულება განსაზღვრავს მომდევნო სასწავლო წლის პრიორიტეტებს. მაგალითად 2024-2025 სასწავლო წლისათვის განსაზღვრული პრიორიტეტებს შორის იყო მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის გაძლიერება, საკლასო და საშინაო დავალებების ოპტიმალური მართვა და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 01/41 სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ, 30/12/2022
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის საქმიანობის ანგარიში
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში
https://www.cea.ge/_files/ugd/5d0fa9_667dc1c7a53641bcb70b9134e68c945d.pdf
- სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის მიღების ფორმები
- თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში
- მშობელთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში
- <https://www.cea.ge/dokumentacia>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული; დაწესებულების დებულებაში ასახულია ინფორმაცია ორგანიზაციის სტრუქტურისა და მართვის საკითხების შესახებ; წარმოდგენილია ორგანიზაციული სტრუქტურა სქემის/ორგანიგრამის სახით, იერარქიული სტრუქტურა და ურთიერთმიმართებები მათ შორის მკაფიოა. აკადემიის სტრუქტურა მოიცავს: პარტნიორთა კრებას, დირექტორთა საბჭოს, აკადემიის დირექტორს, ადმინისტრაციის სამსახურს, სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის სამსახურს, პედაგოგიურ საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს და მოსწავლეთა პარლამენტს/თვითმმართველობას.

სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები რიგ შემთხვევაში განისაზღვრება დებულებით და ამავე დროს, პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და/ან დაწესებულების წესდებით; დაწესებულების გენერალური დირექტორის, დირექტორის და აკადემიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოს პარტნიორთა კრების ფუნქციები განსაზღვრულია დაწესებულების წესდებით. კომერციული დირექტორისა და ფინანსური დირექტორის ფუნქციები განისაზღვრება მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის სამსახური შედგება: სასწავლო პროცესის ხელმძღვანელის, საგნობრივი კათედრების/მასწავლებლების, დამრიგებლების/ტუტორების, დამრიგებლის ასისტენტების, ფსიქოლოგის, ბიბლიოთეკარის, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამის ხელმძღვანელის, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამის პედაგოგებისა და აღზრდელებისაგან და კლუბის ხელმძღვანელებისაგან.

ადმინისტრაციის სამსახური შედგება: ადმინისტრაციის უფროსის, იურისტის, საქმეთა მმართველის, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის, ტექნიკური მენეჯერის, IT მენეჯერის, უსაფრთხოების სამსახურის, ექიმის და დასუფთავების სამსახურისაგან.

დაწესებულების თვითმმართველი ერთეულებია: პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა პარლამენტი/თვითმმართველობა.

ჩამოთვლილია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული დებულებით. ასახულია ანგარიშვალდებულების საკითხები, რაც ხელს უწყობს შრომის პროცესის ორგანიზებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლაში მოქმედებს 2024 წლის 16 აგვისტოს დამტკიცებული „2024-2025 სასწავლო წლის დირექციის წევრთა ფუნქციათა განაწილების ჩარჩო დოკუმენტი“ დოკუმენტში აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შესაბამისი, სხვადასხვა მიმართულებები და წარმოდგენილია პროცესზე პასუხისმგებელი და პროცესში თანამონაწილე პირების შესახებ ინფორმაცია.

ფუნქციების ანალიზი და ფუნქციათა განაწილების ჩარჩო დოკუმენტი ცხადყოფს, რომ ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სტრუქტურულ ერთეულებსა და სკოლაში დასაქმებულ პირთა შორის ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დებულება, ბრძანება N01/70, 01/12/2023
- 2024-2025 სასწავლო წლის დირექციის წევრთა ფუნქციათა განაწილების ჩარჩო დოკუმენტი, ბრძანება N01/51, 16/08/2024

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; პერსონალის მართვის პროცესები ასახულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის წესში. მარეგულირებელი დოკუმენტი შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ასახავს კადრების მოზიდვისა და შერჩევის, მასწავლებლის შერჩევის წესს, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისა და ადაპტაციის მექანიზმებსა და სხვა საკითხებს; ორგანიზება/დაგეგმვა - აერთიანებს ორგანიზაციული განვითარების, საკადრო პოლიტიკის შემუშავებისა და თანამშრომელთათვის პერსონალის სამუშაო აღწერილობის შემუშავება/განახლების პროცესებს: აკადემიაში შემოსვლა - აერთიანებს კადრების მოზიდვის, შერჩევის და აკადემიაში სოციალიზაციის პროცესებს, სამუშაოს მართვა - აერთიანებს შეფასების, დისციპლინარული სასჯელისა და წახალისების პროცესებს, აკადემიიდან გასვლა - აერთიანებს ხელშეკრულების შეწყვეტის პროცესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლის საჭიროებებს და მოიცავს როგორც პრევენციულ ისე ინტერვენციულ ზომებს: რეგულარულად ტარდება პერსონალის საჭიროებების კვლევა, აგრეთვე, პერსონალის საჭიროებების კვლევები. მასწავლებლები შეიმუშავენ პროფესიული განვითარების ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმებს, საჭიროების შემთხვევაში ტარდება ინდივიდუალური მხარდაჭერის ღონისძიებები, ხორციელდება მენტორობის პროგრამა ახალი თანამშრომლებისათვის, ყოველ წელს ხორციელდება ადმინისტრაციული პერსონალის თვითშეფასება და შედეგების ანალიზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით; კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და დასაქმებისათვის სკოლას განსაზღვრული აქვს კანდიდატთა შერჩევის ეტაპები, შერჩევის პროცესს ახორციელებს საკონკურსო კომისია, კანდიდატის შეფასებისათვის გამოიყენება წინასწარ განსაზღვრული და ობიექტური შეფასების კრიტერიუმები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა თანამშრომელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები; კერძოდ, „ნასამართლეობის შესახებ“, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“ და „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; დაწესებულების სამტატო განრიგით განსაზღვრულია შემდეგი პოზიციები: გენერალური დირექტორი, ფინანსური დირექტორი, კომერციული დირექტორი, დირექტორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი, იურისტი, ბუღალტერი, IT მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, საქმეთამმართველი, ტექნიკური მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, ფსიქოლოგი, უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი, დამლაგებელი, მეეზოვე, მასწავლებელი, კათედრის ხელმძღვანელი, ტუტორი, დამრიგებლის ასისტენტი.

სკოლაში დასაქმებულია 91 თანამშრომელი; პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ ადმინისტრაციული პერსონალისა და მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დაწესებულებაში დასაქმებული 55 მასწავლებელი შერჩეულია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლებთან გაფორმებულია შესაბამისი კატეგორიის ხელშეკრულებები: წამყვანი მასწავლებლის, მენტორი მასწავლებლის, მაძიებელი მასწავლებლისა და მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულებები. (44 უფროსი მასწავლებელი, 3 მენტორი მასწავლებელი, 3 წამყვანი მასწავლებელი, 4 მაძიებელი მასწავლებელი და 1 მასწავლებელი პირობიანი ხელშეკრულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; სკოლაში მიმდინარე პროცესების შესწავლით დასტურდება, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს. მაგალითისათვის, სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა და თანამშრომლობა ჩანს შემდეგ პროცესებში: მასწავლებლის შერჩევის პროცედურა (კომისიის შექმნა, გასაუბრება, გადაწყვეტილების მიღება), კათედრების მუშაობა, კურიკულუმის შემუშავების პროცესი, კურიკულუმის განხორციელება, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. შინაგანაწესის მე-19 მუხლი განსაზღვრავს თანამშრომელთა წახალისების გამოყენების წესი: განსაზღვრულია წახალისების შემთხვევები და ფორმები, მათ შორის მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება, ფულადი პრემიის გაცემა. შინაგანაწესის 31-ე მუხლი განსაზღვრავს მოსწავლეთა მიმართ წახალისების გამოყენების წესსა და ფორმებს. დაწესებულებაში არსებობს წახალისების ფორმების გამოყენების არაერთი მტკიცებულება, მათ შორის მოსწავლეთა პირად საქმეებში განთავსებულია ინფორმაცია მოსწავლეთა მიღწევებიდან გამომდინარე დირექტორის ბრძანებით გამოცხადებული მადლობის შესახებ. 2024 წლის მეცხრე და მეათე კლასის მოსწავლეებისა და მასწავლებლების/მენტორების მიმართ გამოყენებულია წახალისების ფორმა საერთაშორისო კონკურსში „ბრილიანტის გამოწვევა“ წარმატებული მონაწილეობისათვის. მოსწავლეთა წარმატებული გამოცდილების გაზიარების მიზნით ეწყობა პრეზენტაციები, რა დროსაც ისინი უზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას სასკოლო საზოგადოებას.

წარმატებული გამოცდილების გაზიარების მიზნით სკოლაში დანერგილია მასწავლებელთა ურთიერთდასწრება და საპრეზენტაციო და რეფლექსიური შეხვედრები. 2024 წელს ჩატარდა არაერთი შეხვედრა, მათ შორის „ck12 გამოყენება მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში“, „PBL პროექტებით სწავლება“. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის წესი, ბრძანება N 01/44, 08/07/2024
- ბრძანება საშტატო განრიგისა და ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ N01/57, 02/09/2024
- ბრძანება N01/05 ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესის დამტკიცების შესახებ
- კონკურსის ჩატარების წესი, ბრძანება N01/29, 06/09/2019
- მოსწავლეთა პირადი საქმეები
- თანამშრომელთა პირადი საქმეები
- ბრძანებები თანამშრომელთა წახალისების შესახებ
- ბრძანებები მოსწავლეთა წახალისების შესახებ
- საკონკურსო კომისიის ოქმები
- ვაკანსია teachersjobs.ge

- დაწესებულების სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ინფორმაცია წარმატებული გამოცდილების გაზიარების შესახებ
- მასწავლებლთა სამუშაო შეხვედრების გეგმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები; შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი მოიცავს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების აღწერას: გამოიყენება პროფესიული განვითარების სხვადასხვა ფორმა: სამუშაო შეხვედრები, მენტორობა, „კრიტიკული მეგობარი“, პრაქტიკის კვლევა, პროფესიული ლიტერატურის დამუშავება, ტრენინგები, საგაკვეთილო დაკვირვება - წინასწარ

შეთანხმებული/გაუფრთხილებელი/მასწავლებელთა ურთიერთდაკვირვება. გაკვეთილზე დაკვირვებისთვის გამოყენებული მასწავლებლების ჩართულობით შემუშავებული სქემა, რომელიც ადაპტირებული MTSS მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემის ფარგლებში შემუშავებულ დაკვირვების სქემაზე დაყრდნობით.

არაკადემიური პერსონალის თანამაშრომელთა პროფესიული განვითარების მიზნით, ადმინისტრაციის თანამშრომლები ავსებენ თვითშეფასების კითხვარს. საჭიროების შემთხვევაში, აკადემიაში იგეგმება სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები. არაკადემიური პერსონალი ასევე იყენებს სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ ონლაინ და პირისპირ ტრენინგების შემოთავაზებებს.

დანართების ფორმას: პროფესიული განვითარების ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას, საგაკვეთილო დაკვირვების ფორმას, ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიის ფორმას, ფოკუსირებული დაკვირვების სქემა განმავითარებელი შეფასების დაგეგმვაზე, ინსტრუმენტები მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების მოსაზრებების შესწავლისათვის, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების ფორმა, თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაოს თვითშეფასების ფორმა (ფსიქოლოგი, IT სპეციალისტი, ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი, ექიმი, იურისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, საქმეთა მმართველი, ტექნიკური მენეჯერი, კათედრის თავმჯდომარის ყოველთვიური ანგარიში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; დაწესებულებაში დანერგილი პროფესიული განვითარების სხვადასხვა ფორმები მიმართულია მასწავლებლის საგნობრივი და მეთოდური ცოდნის, უნარების, გამოცდილებისა თუ სხვა პროფესიული მახასიათებლების განვითარებისკენ. პროფესიული განვითარება მოიცავს რეფლექსიის უწყვეტ პროცესს, სწავლასა და ქმედებას საკუთარი ცოდნისა და უნარების გასაუმჯობესებლად. ყველა მასწავლებელი სასწავლო წლის დასაწყისში ავსებს თვითშეფასების კითხვარს და ადგენს პროფესიული განვითარების ერთწლიან სამოქმედო გეგმას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას; სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა არაერთი სამუშაო შეხვედრა მასწავლებელთა გამოცდის წარმატებით ჩაბარების, აგრეთვე, პორტფოლიოს მომზადების მიზნით. ვიზიტი პერიოდში დაწესებულებაში დასაქმებული იყო 4 მაძიებელი მასწავლებელი. სკოლის დირექცია და ტუტორი მასწავლებლები ხელს უწყობენ მათ კარიერულ ზრდას. პროფესიული განვითარების ღონისძიებებში ჩართულნი არიან

ადმინისტრაციის წარმომადგენლები: ბიბლიოთეკარი, ექიმი, ფსიქოლოგი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და სხვ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; სკოლაში შემუშავებულია ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის წესი. ორგანიზაციასთან წარმატებული ადაპტაციისა და სოციალიზაციის ხელშეწყობისათვის დოკუმენტი განსაზღვრავს ახალი თანამშრომლის მიერ სამუშაოს დაწყებამდე და ასევე, დაწყებისთანავე დაწესებულების მიერ განსახორციელებელ სავალდებულო აქტივობებს. მასწავლებლის შემთხვევაში კათედრის ხელმძღვანელი და სხვა მასწავლებლები აცნობენ ახალ კოლეგას სასკოლო კულტურას, უზიარებენ გამოცდილებას. დაწესებულების მიერ შემუშავებული ადაპტაციის წესი უზრუნველყოფს თანამშრომელთა წარმატებულ ინტეგრაციას და მიკუთვნებულობის გრძნობის განვითარებას. აღნიშნული დადასტურდა მასწავლებლებთან, ტუტორებთან და დამრიგებლის ასისტენტებთან გასაუბრებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლაში შექმნილია მხარდაჭერასა და ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო. ასეთ გარემოში პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენა და ინიციატივების გამოხატვა ხდება თვითრეფლექსიის, ურთიერთდაკვირვებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაოს თვითშეფასების შევსებული ფორმები
(ფსიქოლოგის, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის, იურისტის თვითშეფასება)
- სასკოლო საფეხურის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ,
04/12/2023
- ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის წესი, 16/08/2024
- სამუშაო შეხვედრების ამსახველი რესურსები
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმები

- პროფესიული განვითარების აქტივობებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები
- თანამშრომელთა წახალისების შესახებ დირექტორის ბრძანებები
- მემორანდუმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს; სკოლაში მოქმედებს 2023 წლის 04 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული „სასკოლო საფეხურის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. დოკუმენტი განსაზღვრავს პროცესების მართვისთვის ძირითადად გამოყენებულ მოდელს - დემინგის ციკლს (PDCA) და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირებს: აკადემიის დირექტორი, სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსი, ადმინისტრაციის უფროსი, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი და კათედრის ხელმძღვანელები.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების და გაუმჯობესების, მათ შორის, მოსწავლეთა კომპეტენციების განვითარების დიაგნოსტიკისა და შეფასების, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და აკადემიის მატერიალური რესურსების განვითარების მექანიზმები. დანერგილია შიდა შეფასება. შიდა შეფასების მიზანია, დაწესებულების საქმიანობის მონიტორინგი, დროული რეაგირების საფუძველზე რისკების პრევენცია და არსებული საფრთხეების ეფექტიანი მართვა.

მონიტორინგი და შეფასება შესაძლო მიმართულებებია: სასწავლო პროცესის განხორციელებაში ჩართული პედაგოგების კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხი, მოსწავლეთა სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების გაუმჯობესების მექანიზმები, მრავალფეროვანი და მიზნობრივი ჰოლისტური შეფასების სისტემის დანერგვის ხარისხი, დახარჯული რესურსების კორელაცია მიღებულ შედეგებთან, პრაქტიკის შესაბამისობა ეროვნული და აკადემიის სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, გაკვეთილების მიმდინარეობის ხარისხი, რეკომენდაციების შედეგთან კორელაცია, სასწავლო პროექტების, კონფერენციების შემეცნებითი ექსკურსიების ორგანიზების სიხშირისა და მიზნების კორელაცია ხარისხთან/შედეგებთან, სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულების ეფექტურობა, მატერიალური რესურსის ეფექტური გამოყენება, მოსწავლეთა მზაობა ახალი სასწავლო ამოცანების გადაჭრისთვის, მასწავლებელთა სტატუსების ცვლილება და მათი წინსვლა სქემაში, მასწავლებელთა მიერ მომზადებული სასწავლო რესურსების, შემაჯამებელი დავალებების და სხვ. ხარისხი, ინოვაციური მიდგომების დანერგვის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, კოლეგებთან თანამშრომლობის და გამოცდილების გაზიარების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები და სხვ.

დოკუმენტით განსაზღვრულია დემინგის ციკლის თოთოეული ფაზის მიზანი, განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, მონიტორინგის მეთოდი და პერიოდი. მონიტორინგისთვის გამოიყენება კითხვარები მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის, თვითშეფასების კითხვარები მასწავლებლებისთვის, საგაკვეთილო პროცესზე, არასაკვეთილო დროის

მართვასა და კლუბების მუშაობაზე დაკვირვება, მოსწავლეების და მასწავლებლების ინტერვიუება, მიღებული შედეგების შეჯამება და შესაბამისი ანგარიშის მომზადება. მოსწავლეთა რვეულებში მასწავლებელთა წერილობითი კომენტარების შესწავლა, პერიოდულად, მოსწავლეთა მიღწევებზე დაკვირვება, აკადემიის სასკოლო აქტივობებში მონაწილეობაზე დაკვირვება, ეროვნულ გამოცდებზე მიღწეული შედეგები, შემაჯამებელი სამუშაოების შედეგების შესწავლა და სხვ. მონიტორინგის არსებული ინსტრუმენტები დანართების სახით თან ერთვის დოკუმენტს. ყოველი წლის ბოლოს, წინა წლის ანალიზზე დაყრდნობით, იქმნება შემდეგი სასწავლო წლის ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; დებულებაში აღწერილია მმართველობით, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლის მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმარება, წლიური დაგეგმარება და ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმარება. ძირითადი პროცესებია: მოსწავლეთა კორპუსთან დაკავშირებული პროცედურული საკითხების მართვა - შინაგანაწესი, დისციპლინური სახდელები, ჩარიცხვა, ამორიცხვა, მობილობა, შეფასების საკითხები; კურიკულუმის განვითარება - მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტიკა, სასკოლო კურიკულუმის შექმნა, საკლასო და სასკოლო აქტივობების შედეგების ეფექტიანობის შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, საჭიროებების შესაბამისი პროცესების ასახვა კურიკულუმში; სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა - საათობრივი ბადის შესაბამისი ცხრილის მიხედვით საგაკვეთილო პროცესების წარმართვა, მოსწავლეთა შეფასების სისტემის დანერგვა, ფორმალური და არაფორმალური სასკოლო აქტივობების განხორციელება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; სკოლაში მოქმედებს 2024 წლის 08 ივლისს, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის, თანამშრომლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის საჩივრის განხილვის წესი“. დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ საჩივრის წარდგენის უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს, რომლის კანონიერი ინტერესზე გავლენას ახდენს აკადემიის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი ან სხვა ქმედება. მიმართვა უნდა წარედგინოს აკადემიის დირექტორს. განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი განსაზღვრულია შინაგანაწესის 44-ე მუხლით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის, მშობლისა და

მასწავლებლის უფლებას, გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო არამართლზომიერი ქმედებები, სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გასაჩივრების უფლება. აგრეთვე, დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები, სადავო საკითხების გადაწყვეტის პირობები. უზრუნველყოფილია წერილობითი თანხმობის მოპოვება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო საფეხურის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ, 04/12/2023
- დებულება
- შინაგანაწესი, 06/09/2019
- მოსწავლის, თანამშრომლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის საჩივრის განხილვის წესი, 08/07/2024
- დისციპლინური კომიტეტის ოქმი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები; მასწავლებლებს, დამრიგებლებს, ტუტორებს, დამრიგებლის ასისტენტებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებს ინფორმაცია მიეწოდებათ კორპორატიული ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების საშუალებაა დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში. მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებისათვის გამოიყენება ვებ გვერდი, ელექტრონული ჟურნალი, სოციალური ქსელის

დახურული ჯგუფების გამოყენებით. უკუკავშირის მისაღებათ დაწესებულება, აგრეთვე, იყენებს თანამშრომელთა, მოსწავლეთა და მშობელთა ფოკუსჯგუფებს. ხდება უკუკავშირის ანალიზი და რეაგირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. ვიზიტის პერიოდში მშობლებთან, სკოლის თანამშრომლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების დროს წარმოჩინდა სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების წევრთა აქტიური ჩართულობის მრავალი მაგალითი. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. თვითმმართველობაში ჩართულნი არიან საბაზო და საშუალო კლასის მოსწავლეები. მოსწავლეთა ინიციატივით სკოლაში ხორციელდება არაერთი აქტივობა. მასწავლებელთა კოლეგიურ ორგანოს წარმოადგენს პედაგოგიური საბჭო. სკოლაში არსებული მნიშვნელოვანი სიახლეები განიხილება და თანხმდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები
- სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის მიღების ინსტრუმენტები - მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობელთა მოსაზრებების შესწავლისათვის

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი; მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა. გეგმა შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 04 ივლისით დათარიღებული უფლებამოსილი ორგანოს ინსპექტირების ანგარიში სკოლის შენობის (მის. ქ. თბილისი, ლევან მიქელაძის N4) ტექნიკური მდგომარეობის შეფასების შესახებ ასახავს დასკვნას, რომ შენობის ექსპლოატაცია დანიშნულების მიხედვით უსაფრთხოა.

სკოლამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს კორესპონდენცია (თარიღი 26/08/2024) იმის თაობაზე, რომ დაწესებულების 2024 წლის 08 აგვისტოს განცხადების საფუძველზე შემოწმდა შენობა სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად და შესაბამისი წინადადებების მოსამზადებლად. ობიექტის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებს (თანდართულია სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N366). სკოლამ წარმოადგინა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათი, რომელიშიც აღწერილია შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნის მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 26 მარტის განაცხადი ინსპექტირების/ექსპერტიზის ჩატარებასა და საბოლოო ანგარიშის მომზადებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას; შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი. სკოლის ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; სკოლაში მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის უსაფრთხოების სამსახური. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე ვიზიტორთა გადაადგილების კონტროლს; აღირიცხება სკოლაში ვიზიტორთა შემოსვლა და გასვლა.

შენობის ვიზუალური დათვალიერებით და ვიდეომონიტორინგის სისტემის გაცნობით დასტურდება, რომ სკოლის გარე და შიდა პერიმეტრს (ეზო, სპორტული მოედანი, დერეფნები, ფოიე, კიბის უჯრედები) აკონტროლებს ვიდეომეთვალყურეობის კამერები დაწესებულების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების შესაბამისად. ვიზიტის პერიოდში ვიდეომეთვალყურეობა ხორციელდებოდა დამატებით სპორტულ დარბაზში, ბიბლიოთეკასა და ერთ-ერთ საკლასო ოთახში. ვიზიტის პერიოდშივე დაწესებულებამ უზრუნველყო კამერების დემონტაჟი სპორტულ დარბაზში, ბიბლიოთეკასა და საკლასო ოთახში.

ვიზიტის პერიოდში, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიმართულებით, იდენტიფიცირებულ გარემოებას წარმოადგენს, ამავე შენობაში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამის განხორციელება ბაღის საკუთარი, იზოლირებული შესასვლელის გარეშე. კერძოდ, შენობის პირველ სართულზე, მარჯვენა ფლიგელის ნაწილში, განთავსებულია საბავშვო ბაღისათვის განკუთვნილი ფართი/ინფრასტრუქტურა. ბაღის ტერიტორიაზე შესასვლელად გამოიყენება სკოლაში შესასვლელი კარი და ფოიე. ბაღს სხვა, იზოლირებული შესასვლელი არ აქვს. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

დაწესებულებამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმით განსაზღვრულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა: „სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, სკოლისა და ბაღის სივრცე გაიმიჯნება იმგვარად, რომ როგორც ბაღს, ისე სკოლას ჰქონდეს საკუთარი, იზოლირებული შესასვლელი კარი და ფოიე.“ დასრულების თარიღი: 2027 წლის ივნისი. განსაზღვრულია დაწყებისა და დასრულების თარიღები, რესურსები და აღნიშნულია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები მითითებულ ვადებში არ არსებობს. ინდიკატორი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის განხორციელება - სკოლისა და ბაღის სივრცის გამიჯვნა იმგვარად, რომ როგორც ბაღს, ისე სკოლას ჰქონდეს საკუთარი, იზოლირებული შესასვლელი კარი და ფოიე 2027 წლის ივნისამდე.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნისაკენ არის მიმართული დაწესებულების თითოეული თანამშრომლის ძალისხმევა. მათ შორის, განსაკუთრებული როლი აკისრია I-IV კლასების დამრიგებლებსა და დამრიგებლის ასისტენტებს, ხოლო მეხუთე კლასიდან ტუტორებს. ტუტორს არ აქვს საათობრივი დატვირთვა, შესაბამისად ტუტორის ყურადღება სრულად მიმართულია კლასთან მუშაობასა და მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. რეგულარულად ტარდება სადამრიგებლო საათი წინასწარ განსაზღვრული განრიგისა და თემატიკის შესაბამისად. დამრიგებლები და ტუტორები მჭიდროდ თანამშრომლობენ აკადემიის ფსიქოლოგთან,

სადამრიგებლო საათები ისეა დაგეგმილი, რომ გარკვეულ თემებს ფსიქოლოგი თავად უძღვება კონკრეტული მიზნობრივი აქტივობებით.

სკოლისათვის პრიორიტეტულია მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური საჭიროებებზე რეაგირება. ამ მიზნით სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები. კერძოდ, მემორანდუმი აუტიზმის ქართულ-ამერიკული ცენტრის შპს „ლალიპაპის“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ. მიზანია სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ინკლუზიური განათლების მნიშვნელოვნების შესახებ ერთობლივი აქტივობების დაორგანიზება, მოსწავლეთა და თანამშრომელთა ფსიქო-ემოციური საჭიროებების საპასუხოდ რელევანტური აქტივობების დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება, ერთობლივი პროგრამების შემუშავება მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური საჭიროებებზე საპასუხოდ.

ფსიქოლოგთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ფსიქოლოგის ვალდებულებებში შედის მოსწავლეთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, პირველკლასელთა ადაპტაციის ხელშეწყობა და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; სკოლაში მოქმედებს სანიტარული და ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფის წესი. განსაზღვრულია სანიტარული კვანძის დასუფთავების წესი, პერიოდულობა, დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა. შექმნილია სტრუქტურული ერთეული - დასუფთავების სამსახური, რომელიც არის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დაქვემდებარებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას; სკოლაში დაცულია მონაცემთა სუბიექტის პერსონალური ინფორმაცია. მოქმედებს 2023 წლის 20 იანვარს დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. დაწესებულებას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებ გვერდზე. მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებას ერთვის თანხმობის/ინფორმირების დასტური პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ვიდეოთვალთვალის სისტემის თაობაზე. დაწესებულებას მიღებული აქვს დასაქმებულ პირთა წერილობითი თანხმობა/დასტური პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. მუდმივად ახლდება პროგრამული უზრუნველყოფა. დირექტორის ბრძანებით

განსაზღვრულია სკოლაში არსებული პერსონალური მონაცემების, მართვის საინფორმაციო სისტემაში მოსწავლეების, მშობლებისა და თანამშრომლების მონაცემებზე წვდომასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები, აგრეთვე, ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულება ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას. მუშაობის პროცესში გამოიყენება მხოლოდ ააიპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენას“ მოწოდებული ინტერნეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. დაწესებულებას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შემუშავებული აქვს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები. პროცესის მონიტორინგი მიმდინარეობს უწყვეტად, დაკვირვების მეთოდით. შედეგების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება საჭირო ცვლილებები. მაგალითად, დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა დიდ დასვენებაზე უსაფრთხოების კადრის დამატების საჭიროება, რაც დაუყოვნებლივ იქნა უზრუნველყოფილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უფლებამოსილი ორგანოს ინსპექტირების ანგარიში N0064-3/07/24
- საგანგებო მართვის გეგმა 21/03/2024
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კორესპონდენცია, MIA 9 24 00988689, 02/04/2024
- ბრძანება N01/10 საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ 21/03/2024
- სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს კორესპონდენცია, MIA 0 24 02612486 26/08/2024
- განაცხადი ინსპექტირების/ექსპერტიზის ჩატარებაზე, 26/03/2025
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათი
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პირობები, 19/12/2019
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კორესპონდენცია MES 9 19 01730261
- ბრძანება N01/04 პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის დამტკიცების შესახებ, 20/01/2023

- ბრძანება N01/78 სანიტარული და ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ, 28//12/2024
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ, 01/09/2024
- მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ „საკონსულტაციო, საგანმანათლებლო ცენტრის სივრცე“.
- მომსახურების ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების საკითხებში, 19/02/2025
- ბრძანება N01/08 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ, 24/03/2025
- სადამრიგებლო პროგრამები
- თანხმობის/ინფორმირების დასტური პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ვიდეოთვალთვალის სისტემის თაობაზე
- დასაქმებულ პირთა თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, იანვარი, 2025

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;



3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; შპს თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის საკუთრებაშია ქ. თბილისში, ლევან მიქელაძის N4-ში მდებარე შენობა-ნაგებობები - საერთო ფართობით 3771.20 კვ.მ. და ეზო საერთო ფართობით 3624.00 კვ.მ.

სკოლის შენობაში მოწყობილია 25 საკლასო ოთახი და 9 დამხმარე ოთახი, მათ შორის განაყოფი კლასების სარგებლობისათვის. სკოლაში მოწყობილია, სათანადო მატერიალური რესურსით აღჭურვილი, ფიზიკის, ქიმია-ბიოლოგიის, ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიები და ფსიქოლოგიის კაბინეტი.

სკოლა ფლობს საგანმანათლებლო საქმიანობის შესაბამის მატერიალურ რესურსს თვითშეფასების კითხვარში მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, 580 მოსწავლისათვის. თითოეული საკლასო ოთახი აღჭურვილია სასკოლო დაფებით, კომპიუტერებითა და ტელევიზორებით/ეკრანებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით და ლაბორატორიით სარგებლობის წესები სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველსაყოფად. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ დაწესებულების ინფრასტრუქტურით, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეებით: ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით, სპორტული დარბაზითა და სპორტული მოედნით. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ წიგნადი ფონდით, კომპიუტერებით, პრინტერითა და სხვა რესურსებით. სკოლის კაფეტერია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით; ბიბლიოთეკა აღჭურვილია საჭირო მატერიალური ინვენტარით: მაგიდები და კომპიუტერები მკითხველებისათვის, ჭკვიანი დაფა და საპრეზენტაციო კუთხე. ბიბლიოთეკაში განთავსებული ლიტერატურა (მხატვრული, შემეცნებითი, პროფესიული, მეთოდური, პერიოდიკა) დამუშავებულია ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის წესით. სკოლა სარგებლობს საბიბლიოთეკო სისტემით

OpenBiblio. დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკა მუშაობს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; სწავლის ინკლუზიური გარემოს უზრუნველსაყოფად შენობის ნულ (0) სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები.

ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ იყო შექმნილი ეტლით მოსარგებლე პირისათვის შენობაში შესვლისა და სართულებზე გადაადგილების შესაძლებლობა. პანდუსის დასამონტაჟებლად საჭირო მასალა დასაწყობებულია და მისი დამონტაჟება მხოლოდ საჭიროების წარმოშობის დროსაა გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში სწავლის ინკლუზიური გარემო მუდმივად ხელმისაწვდომი არ არის. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

დაწესებულებამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმით განსაზღვრულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა: „სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად კიბეებზე დამონტაჟდება პანდუსი მუდმივი გამოყენებისთვის. დასრულების თარიღი: 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე.“ გეგმაში განსაზღვრულია დაწყებისა და დასრულების თარიღები, რესურსები და აღნიშნულია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები მითითებულ ვადებში არ არსებობს. ინდიკატორი შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის განხორციელება - პანდუსის დამონტაჟება კიბეებზე მუდმივი გამოყენებისთვის 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ინფრასტრუქტურის მოწყობა ხელს უწყობს სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში მოწყობილია კომფორტული საერთო სივრცეები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა/მასწავლებელთა თანამშრომლობასა და სოციალურ/არაფორმალურ ურთიერთობებს. სკოლის ეზოში მოწყობილია „ხელოვნების პავილიონი“, რომელიც გამოიყენება როგორც ხელოვნების გაკვეთილებისათვის ისე საკლუბო აქტივობებისათვის. სკოლას აქვს ღია და დახურული სპორტული მოედნები, რომელიც გამოიყენება მათ შორის მოსწავლეთა ინიციატივით დაგეგმილი სპორტული აქტივობებისათვის. ბიბლიოთეკა წარმოადგენს საერთო სივრცეს სხვადასხვა სასკოლო ღონისძიების, მოწვეული სტუმართან შეხვედრისა და წიგნიერების ხელშეწყობი აქტივობებისათვის. საკლასო ოთახებში

განთავსებულია ადვილად გადასადგილებელი ავეჯი, რაც სივრცის სხვადასხვა აქტივობისათვის სწრაფად მორგების საშუალებას იძლევა. სკოლის ეზოში მოწყობილია მწვანე ზონები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, 29/07/2024
- აზომვითი ნახაზი
- სასაქონლო ზედნადებები/მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- ლაბორატორიებით სარგებლობის წესი, ბრძანება N01/25, 12/09/2018
- დასაწყობებული პანდუსი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; დაწესებულების საკუთრებაშია 60 პერსონალური კომპიუტერი, 10 ლეპტოპი, 11 პრინტერი/ქსეროქსი, 3 პროექტორი, 31 ტელევიზორი და 4 ჭკვიანი დაფა. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია კომპიუტერთა და ტელევიზორით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკითა და პრინტერ-სკანერებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. დამტკიცებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების წესი. წესის შესაბამისად მოსწავლეებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა საკლასო ოთახებში, განაყოფის ოთახებში, ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სამასწავლებლოში პედაგოგებისათვის ხელმისაწვდომია კომპიუტერები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N01/42 ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ, 05/07/2024
- კომპიუტერებისა და სხვა ტექნიკის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად ხდება გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. საქმისწარმოების წესში ასახულია დოკუმენტების

რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტის ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრირება, ხელშეკრულებისა და მემორანდუმების აღრიცხვის წესი, შიდა მიმოწერის აღრიცხვა და დოკუმენტის დაარქივების პროცედურები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტრუნვის ელექტრონული სისტემა; საქმისწარმოება ხორციელდება საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით (სქულ მენეჯმენტ სისტემი). ინფორმაციისა და კორესპონდენციის მისაღებად გამოიყენება ელექტრონული ფოსტა info@cea.ge სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს სკოლის მიერ შექმნილი კორპორატიული ელექტრონული ფოსტა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; სკოლას აქვს პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. მასში ასახული ინფორმაცია სრულყოფილია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. დაწესებულებაში შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირება დროულია. სკოლა აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რესურსცენტრს, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და სხვა, საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N01/02 საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ, 13/01/2025
- ხელშეკრულება სისტემის ლიცენზიის სარგებლობაში გადაცემის შესახებ, 19/08/2024
- სკოლის პროფილი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- საგანმანათლებლო უწყებებთან კორესპონდენციის ამსახველი მასალები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; საზოგადოების ინფორმირების მიზნით ფუნქციონირებს ვებ გვერდი, გვერდი სოციალურ ქსელში და კორპორატიული ელექტორნული ფოსტა. ვებ გვერდსა და სოციალურ ქსელში არსებულ გვერდზე სკოლა სისტემატურად განათავსებს ინფორმაციას მიმდინარე თუ დაგეგმილი აქტივობების შესახებ. სკოლას აქვს იუთუბ გვერდი, რომელიც გამოიყენება ასევე საზოგადოების ინფორმირებისა და სკოლის ცნობადობის ამაღლების მიზნით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლის მიერ უზრუნველყოფილია სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელება ვებ გვერდის, სოციალურ ქსელში არსებული გვერდისა და პირისპირ კომუნიკაციის ფორმით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სკოლა უკუკავშირს იღებს სხვადასხვა არხით და

ითვალისწინებს. ელექტრონული გამოკითხვის შედეგები, ფოკუს ჯგუფის შედეგები, ინდივიდუალური შეხვედრების დროს მიღებული ინფორმაცია გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, შემდგომი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას. სწორედ უკუკავშირის შედეგად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ კათედრის თამჯდომარის პოზიციაზე შერჩეულიყვნენ ისეთი კადრები, რომელთაც დაბალი აკადემიური დატვირთვა აქვთ. აგრეთვე, სასკოლო საათობრივ ბადეში განხორციელებული ცვლილებები და საგანთა არჩევითობის პროცეპის შემოღება დაეფუძნა სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას; ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლაში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია და ყველა დოკუმენტი გარდა სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგებისა, რადგან ამ დროისათვის არ დამდგარა სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის პერიოდი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ‘

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- <https://www.cea.ge/>
- <https://www.facebook.com/cea.edu.ge>
- <https://www.youtube.com/@%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A6%E1%83%AF>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება; სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება უზრუნველყოფილია სკოლის ფინანსური რესურსით. გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია 2024-2025 სასწავლო წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო გაანგარიშება/ბიუჯეტი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლაში შექმნილია ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის ჯგუფი. დაწესებულება ახორციელებს ანგარიშგებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება საშტატო განრიგისა და ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ N01/57, 02/09/2024
- 2023-2024 სამეურნეო წლის წლიური ანგარიში/ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ, 04/10/2024
- გენერალური დირექტორის ბრძანება ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფის ჯგუფის შექმნის შესახებ, 13/01/2025

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლაში მოქმედებს შიდა რეგულაციები: დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის,

თანამშრომლის, მშობლის ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის საჩივრის განხილვის წესი“ და შინაგანაწესი. შინაგანაწესის 29-ე მუხლი შეეხება მოსწავლის უფლებებსა და ვალდებულებებს. **ინდიკატორია დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან საინფორმაციო შეხვედრების, სადამრიგებლო მუშაობის ფორმატში. დოკუმენტები განთავსებულია სკოლის შენობაში, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას და ვებ გვერდზე. **ინდიკატორია დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება. ხელშეკრულება შეესაბამება კანონმდებლობას, არის მკაფიო და გამჭვირვალე. ხელშეკრულებით განისაზღვრება ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობები, მომსახურების ღირებულება და გადახდის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ფორს-მაჟორი, დავის მოგვარების წესი, შეწყვეტის წესი. ხელშეკრულებას ერთვის თანხმობის/ინფორმირების დასტური პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ვიდეოთვალთვალის სისტემის თაობაზე. **ინდიკატორია დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი, 06/09/2019
- მოსწავლის, თანამშრომლის, მშობლის ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის საჩივრის განხილვის წესი, 08/07/2024
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- სკოლის ვებ გვერდი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;



2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენის და შეწყვეტის წესი. წესში განსაზღვრული მექანიზმები მკაფიო და კანონმდებლობის შესაბამისია. დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე და შესაბამისად, ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენის შემთხვევებში სკოლა იცავს კანონმდებლობით დადგენილ მექანიზმებს. მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მიეწოდება ინფორმაცია აღნიშნული მექანიზმების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სკოლის ვებ გვერდზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია პროგრამების, მომსახურებისა და მომსახურებისათვის დადგენილი საფასურის შესახებ. სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია ვებ გვერდზე და სკოლის შენობაში, რითაც უზრუნველყოფილია სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობა. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ეწყობა ღია კარის დღეები დაინტერესებული პირებისათვის. აღნიშნული ინფორმაცია ზიარდება ღია კარის დღეებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლის ვებ გვერდსა და სოციალურ ქსელში არსებულ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების შესახებ. ინფორმაცია არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი

პირია საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. ის ინფორმაციას იღებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულისაგან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება 01/46 მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენის და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, 09/08/2024
- <https://www.cea.ge/migeba>
- <https://www.cea.ge/programebi>
- ბრძანებები მოსწავლეთა ჩარიცხვისა და ამორიცხვის შესახებ
- სკოლის ვებ გვერდი <https://www.cea.ge/>
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში <https://www.facebook.com/cea.edu.ge>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;



2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი; სკოლაში მოქმედებს დოკუმენტი „მოსწავლის ადაპტაციის წესი“. წესი განსაზღვრავს მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმებს და მათი განხორციელების პროცედურებს. ყურადღება გამახვილებულია იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს ენობრივი ბარიერის არსებობა. აღწერილია, ტუტორის/დამრიგებლისა და ფსიქოლოგის როლი მოსწავლის წარმატებით ადაპტაციაში; ცალკეულად გაწერილია პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა და მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაცია. განსაზღვრულია წარმატებული ადაპტაციის ნიშნები, დეზადაპტაციის ნიშნები და რეკომენდაციები წარმატებული ადაპტაციისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება სწავლის დაწყების პირველი დღის აქტივობებს. სკოლის მიერ ორგანიზებულია საზეიმო დახვედრა. პირველკლასელებისათვის ეწყობა მასწავლებლებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრები. დამრიგებლები ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობას და ზრუნავენ სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; სკოლაში მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია კონსულტირება (არასაკავშირებლო ფორმატში). კონსულტირების მიზნებია: მთელ კლასს გაეწიოს დამატებითი კონსულტირება საპროექტო და კომპლექსური ტიპის დავალებების შესრულების შუალედურ ეტაპზე და აგრეთვე, იმ მოსწავლეებს, რომლებსაც კონკრეტულ საგანში/საგნებში დაბალი მზაობა აქვთ, მიეცეთ შესაძლებლობა, ჩაერთონ რემედიაციულ აქტივობებში. წინასწარ გაწერილი და მოსწავლეებისათვის ცნობილია კონსულტირების განრიგი.

კონსულტირების სახეები: ინდივიდუალური კონსულტირება და საერთო საკლასო კონსულტირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარმართავს პროცედურებს განცხადების განხილვა, ცნობის დამზადება, მობილობის პროცესი, რეკომენდაციის გაცემა და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; წახალისებულია მოსწავლეთა დამატებითი/არაფორმალური აქტივობები. ამ მიმართულებით მოსწავლეებს არაერთი სასკოლო პროექტი აქვთ განხორციელებული. მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობა მხარდაჭერილია სკოლის მხრიდან. თვითმმართველობის ორგანიზებით ტარდება სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებები, შეხვედრები მოწვეულ სტუმრებთან, სხვადასხვა კამპანიები. საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ინიციატივით დაფუძნებულია მკითხველთა კლუბი საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ საერთაშორისო პროექტებში: საერთაშორისო კონკურსის Technovation Girls სკოლის გუნდი ადგილობრივი ფინალისტები გახდნენ. პროექტის ფარგლებში მათ შექმნეს მობილური აპლიკაციის პროტოტიპი თემის პრობლემების გადასაწყვეტად. მოსწავლეთა გუნდი გახდა საერთაშორისო კონკურსის „ბრილიანტის გამოწვევის“ 2024 წლის კონკურსის ფინალისტები. მოსწავლეთა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს “Blue Ocean Competition 2024”, გუნდებმა კონკურსისთვის შექმნეს ინოვაციური მობილური აპლიკაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლაში ყოველწლიურად ტარდება მშობელთა და თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა. კვლების შედეგები გამოიყენება მომსახურების გაუმჯობესებისათვის. 2023-2024 სასწავლო წელს ჩატარდა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ფოკუს-ჯგუფები. 2024-2025 სასწავლო წელს ჩატარდა მოსწავლეთა, მშობელთა და თანამშრომელთა ანონიმური, ელექტრონული გამოკითხვა. შედეგების გაანალიზების შემდეგ განხორციელდა ინტერვენციები.

მოსწავლეებს/დაინტერესებულ მხარეებს ყოველთვის შეუძლიათ მიმართონ დირექციას და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები. სწორედ დაინტერესებული მხარეების, სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის, სასწავლო პროცესის ანალიზის საფუძველზე, მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, 2024-2025

სასწავლო წლის საათობრივ ბადეში განხორციელდა ცვლილებები, შემოღებულ იქნა ტუტორის პოზიცია და სხვ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N01/45 მოსწავლის ადაპტაციის წესი 09/08/2024
- დამრიგებლის გეგმა - პირველი დღის აქტივობები აღწერა
- მშობელთა კითხვარი
- კონსულტაციის აღწერილობა
- კონსულტაციის განრიგი პირველი სემესტრისათვის
- კონსულტაციის განრიგი მეორე სემესტრისათვის
- რემედიაციის პროგრამა
- საათობრივი ბადე

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის; სასკოლო სასწავლო გეგმის მე-15 მუხლში ასახულია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კონცეფცია. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელნი პირები არიან კლასის დამრიგებლები და საერთაშორისო ურთიერთობებისა და მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის სამსახურის თანამშრომლები. წინასწარ გაწერილია IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის

განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილებისა და სხვა აქტივობების ჩატარების განრიგი.

გაფორმებულია მემორანდუმები არაერთ უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, მათ შორისაა კოლეჯი სპექტრი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შესასრულებელი ვალდებულებებს შორისაა: მოსწავლეებისათვის საქართველოსა და საქართველოს საზღვრებს გარეთ მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კოლეჯების პროფილის გაცნობა, მოსწავლეთა მხარდაჭერა შემდეგ საკითხებში: ინფორმაცია დაახარისხება პროფესიების მიხედვით, უპირატესობების განსაზღვრა საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და პროფესიებს შორის, სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფილი და საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართულებების შედარება, ვიზიტები საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სკოლამ გაითვალისწინა მოსწავლეთა უკუკავშირი, რაც გულისხმობდა მხარდაჭერის საჭიროებას საზღვარგარეთ არსებული უნივერსიტეტების მოძიებაში და შესაბამისი გამოცდების ჩაბარებაში. შესაბამისად, საათობრივ ბადეს დაემატა საგნები აკადემიური წერა, TOEFL და SAT. სკოლა გეგმავს მოსწავლეთა მხარდაჭერის გაძლიერებას გამოცდების სხვადასხვა კომპონენტებისთვის მოსამზადებლად მაგალითად, რეზიუმეს მომზადება, გასაუბრება და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (მუხლი 15)
- მემორანდუმები
- პროფესიულ სასწავლებელში მოსწავლეთა ვიზიტის ამსახველი მასალა

- სადამრიგებლო პროგრამები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი; აკადემია იზიარებს ინკლუზიური განათლებისადმი განათლების სისტემის მიდგომას და გააჩნია მისი განხორციელებისათვის შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი, რითაც შესაძლებელია ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სსსმ მოსწავლის ჩართვა სხვა მოსწავლეებთან ერთად. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია ინკლუზიური განათლების კონცეფცია და აღნიშნულია, რომ სკოლა ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს დაარეგულირებს განათლებისა და მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის 16/ნ ბრძანებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

